ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი**

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის N4 საბავშვო ბაღი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *კახაბერ ფარცვანია*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *ლელა ბექაური*

კვების დარგში ექსპერტი: *ნათია თოთაძე*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *მარინე გულუა*

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 242741477 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)* | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. წალენჯიხის N4 საბავშვო ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)* | Management center of Pres-school Education institucions of Tsalenjikha MunicipalityMagda |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| 2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
| იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წალენჯიხა, გამსახურდიას ქ. N9 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წალენჯიხა, წმინდა ნინო ქ. N68 (წალენჯიხის N4 საბავშვო ბაღი); |

| | |
|---|---|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | MES 2 25 0001111286, 10/09/2025 |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | 2025 წლის 08 და 09 ოქტომბერი |

| **5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ** (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე) | |
|---|---|
| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
| | |

| **6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ** |
|---|
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. |

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა | | | | <br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☐ |
| 2 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში“ სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში" | ქართული | | 42<br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |
| 4 | სასკოლო მზაობის პროგრამა | | | | <br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☐ |

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

2025 წლის 10 სექტემბრის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების №MES 2 25 0001111286 საფუძველზე, 2025 წლის 8-9 ოქტომბერს განხორციელდა საავტორიზაციო ვიზიტი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ წალენჯიხის N4 საბავშვო ბაღში.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ააიპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ მიერ ცენტრში წარდგენილი სავალდებულო დოკუმენტაცია. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც დაწესებულებას წინასწარ გაეგზავნა გაცნობის მიზნით. საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 8-9 ოქტომბერს, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, ერთსაათიანი შესვენებით. ექსპერტთა მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია ადგილზე იქნა წარმოდგენილი და შესწავლილი. ვიზიტი წარიმართა ორგანიზებულად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დაწესებულების საქმიანობის შეფასება ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის შესაბამისად. განხორციელდა დაწესებულების ტერიტორიისა და მატერიალური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გაიმართა გასაუბრებები როგორც ააიპ-ის წარმომადგენლებთან, ასევე საბავშვო ბაღის ადმინისტრაციასთან და პედაგოგიურ პერსონალთან. ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა პირადად გასაუბრებოდნენ პასუხისმგებელ პირებსა და თანამშრომლებს, რის შედეგადაც მოიპოვეს შესაბამისი ინფორმაცია თითოეული სტანდარტის შესრულებასთან დაკავშირებით. ორივე დღის დასასრულს გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების თანამშრომლებს გააცნო დღის განმავლობაში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები.

საერთო ჯამში, ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობისა და კონსტრუქციული კომუნიკაციის რეჟიმში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების პერსონალი ფლობს ინფორმაციას საკუთარ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იცნობს მიმდინარე სიახლეებს და გამოხატავს მზაობას დაწესებულების განვითარების უწყვეტი პროცესის მხარდაჭერისათვის.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც  დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს  (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

ბაღის პერსონალთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ისინი ფიქრობენ მშობელთა ჩართულობის მიზნით, მშობლების მოწვევას ჭიქა ყავაზე ან ჩაიზე, სადაც დაგეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. ასევე სურთ ჰქონდეთ სიკეთის ქისა (უკვე აქვთ ფიზიკურად ქისა), სადაც ბავშვები მთელი წლის განმავლობაში ჩაყრიან მათ „კეთილ საქმეებს“, ქისა გაიხსნება წლის ბოლოს და წახალისდებიან „კეთილი საქმის აქტორები“. ფიქრობენ ჰქონდეთ

შაბათ-კვირის ჯადოსნური ყუთი, რასაც, სურვილის მიხედვით, წაიღებს ბავშვი სახლში და ორშაბათს მოიტანს ბაღში, თავისი საყვარელი ნივთით, რომელზეც შემდგომ ისაუბრებს: რატომ შეარჩია ნივთი, რამ განაპირობა რომ ეს ნივთია მისთვის საყვარელი და ა.შ

### 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................

## ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა<br>ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში" | | |
|---|---|---|
| 2. კურიკულუმი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის მისიაა შევქმნათ განვითარებაზე, მრავალფეროვნებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ბაღების ქსელი, სადაც შერეულ ჯგუფებში სწავლა და აღზრდა წარიმართება თანამედროვე მიდგომებით, ხოლო სასკოლო მზაობის პროგრამა გახდება ბავშვის მომზადების მნიშვნელოვანი ბმული სკოლამდელ და დაწყებით განათლებას შორის. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი იმუშავებს ინკლუზიურობის პრინციპით და შეინარჩუნებს სამაგალითო გაერთიანების სტატუსს არამარტო რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბით" დაწესებულების მისია შესაბმისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მასში კაგად ჩანს მზაობა ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, ასევე ბავშვების უსაფრთხოებაზე, ჩანს ასევე მათი უნარების განვითარებაზე ორიენტირებულობა.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

............................................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................................................

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ხედვაა მის სისტემაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 35 საბავშვო ბაღში უზრუნველყოს თანაბარი, ხარისხიანი და უსაფრთხო სკოლამდელი განათლება ყველა ბავშვისთვის. შერეულ ჯგუფებში ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ჩვენ ვაწვდით თითოეულს შესაძლებლობას, განვითარდეს სრული პოტენციალით. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ სასკოლო მზაობის პროგრამის ეფექტიან განხორციელებას, რათა აღსაზრდელები მომზადებულები შეხვდნენ სკოლის ეტაპს".
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ღირებულებები გამოხატავს ორგანიზაციის რწმენას, შეხედულებებს, იდეალებსა, ეთიკურ სტანდარტებს და ადგილობრივ ტრადიციებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ორგანიზაციის ფუნქციონირებას. თავისი საქმიანობის ფარგლებში მართვის ცენტრი ეყრდნობა სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა:

• ბავშვის კეთილდღეობა – ყველაფერს ვაკეთებთ ბავშვის უსაფრთხოებისა და ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად.
• თანასწორობა და ხელმისაწვდომობა – ყველა ბაღში ყველა ბავშვს აქვს განვითარების ერთნაირი შესაძლებლობა, მიუხედავად სოციალური ან გეოგრაფიული მდგომარეობისა.
• ინკლუზიურობა – ვაღიარებთ და ვაფასებთ განსხვავებებს, ვქმნით გარემოს ყველა ბავშვისათვის.
• გუნდური თანამშრომლობა – ვმუშაობთ გუნდურად პედაგოგებთან, მშობლებთან და ადგილობრივ თემთან.
• განათლების ხარისხი და პროფესიული ზრდა – მუდამ ვცდილობთ პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას, ინოვაციების დანერგვას და თვითგანვითარებას.
• საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა – ვიცნობთ ჩვენს როლს სოფლისა და ქალაქის თემების განვითარებაში და ვმოქმედებთ ეთიკურად და გამჭვირვალედ.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს და გამომდინარეობს მისიიდან. ხედვაში ჩანს თუ რა მიმართულებით სურს დაწესებულებას განვითარება, მარტივი და გასაგები ენით არის გადმოცემული. ჩანს ბაღში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა, რაც ასევე კარგად გამოჩნდა ვიზიტის პერიოდში.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

როგორც ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და შესაბამის პირებთან გასაუბრებით ირკვევა, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის თანამშრომლები და მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების თანამშრომლები. პროცესის კოორდინაცია განხორციელდა ცენტრის ხელმძღვანელობის ორგანიზებით, რომელიც უზრუნველყოფდა სამუშაო შეხვედრების პერიოდულ დაგეგმვასა და ჩატარებას. ცენტრში მისიის, ხედვისა და ღირებულებების და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის N11 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი მოიცავდა, სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის თანამშრომლებსა და მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რამდენიმე დირექტორს, ასევე ამავე ბრძანებით ეთხოვა ცენტრის სისტემაში შემავალ საბავშვო ბაღების საკონსულტაციო საბჭოს წევრებსა და წალენჯიხის მერიის შესაბამისი სამსახურის უფროსს, სამუშაო ჯგუფში ჩართულობა. სამუშაო ჯგუფის ინიციატივით შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომლის მეშვეობითაც ჩატარდა გამოკითხვა. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა მისია, ხედვა და ღირებულებები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

### 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, ბაღის დირექტორმა, 2025 წლის 16 ივნისსს, პერსონალს გაუზიარა აღნიშნული დოკუმენტი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგნეს, ფოტოსურათებთან ერთად. მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და ასევე განთავსებულია Facebook გვერდზე https://www.facebook.com/baxebiscentri .

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დანართი N1 – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 05/03/2025 ბრძანება N25;
2. დანართი N2 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 02/02/2025 ბრძანება N5;
3. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ 05/02/2025 ბრძანება N11;
4. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ 15/01/2025 ბრძანება N2;

5. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1;
6. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2;
7. საბავშვო ბაღის საინფორმაციო დაფა;
8. თანამშრომლებთან და მშობლებთან შეხვედრის ოქმები;
9. ინტერვიუს შედეგები.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.1. დაწესებულების მისია | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების  მიერ შემუშავებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი", რომელიც დამტკიცებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 თებერვლის N5 ბრძანებით, განსაზღვრავს მისიის ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიმართებას, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპებს, პროცესში ჩართული მხარეებს, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესის საკვანძო პრინციპებს, დოკუმენტების გაზიარების წესს, სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტის მე-5, მე-7, მე-8 და მე-9 მუხლები მკაფიოდ აღწერს როგორც საზოგადოების ჩართულობის ფორმატს (თანამონაწილეობითი დაგეგმვა, დოკუმენტების გაზიარება), ისეთ პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფს მოლოდინებისა და ინტერესების გათვალისწინებას სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

............................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის ხუთ წლიანი (2025–2030), აგებულია ექვს ძირითად სტრატეგიულ მიმართულებაზე:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
2. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
3. განათლების ინკლუზია;
4. პარტნიორული ურთიერთობის ფორმირება მშობლებთან ბაღის საქმიანობის დაგეგმვისა და გაუმჯობესების მიზნით;
5. ბავშვის ასაკობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, ჯანსაღი, უსაფრთხო და მრავალფეროვანი კვების ორგანიზება და მართვა საბავშვო ბაღის ყველა ერთეულში;
6. საქართველოს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმების ეფექტიანი დანერგვა საბავშვო ბაღის ყოველდღიურ საქმიანობაში, უსაფრთხო და სუფთა გარემოს უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული მიზნები თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და ხედვასთან. მაგალითად, განათლების ინკლუზიის ხელშეწყობა და აღსაზრდელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება პასუხობს პერსონალიზებულ ხედვას. ადამიანური რესურსის განვითარება და პროფესიული ზრდის პოლიტიკა ასახავს მენეჯმენტის სტრატეგიულ ხედვას, რომელიც ხარისხზეა ორიენტირებული. აგრეთვე, მშობლებისა და თემის აქტიური მონაწილეობა, უკუკავშირის მექანიზმები მოწმობს, რომ დოკუმენტი ითვალისწინებს თემის საჭიროებებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულების 2024–2025 წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ერთწლიან გეგმას, რომელიც შემუშავდა 2025–2030 წლების სტრატეგიული განვითარების ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე. სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ განსაზღვრულია სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისი აქტივობები. თითოეული აქტივობა დაყოფილია რეალიზაციის კონკრეტულ ეტაპებად და აქვს გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რაც საშუალებას იძლევა ეფექტიანად შეფასდეს შესრულების ხარისხი და პროგრესი. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს პრაქტიკულად გამოყენებად დოკუმენტს.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
სასურველია, ბაღების კონკრეტიზაცია, ანუ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრში შემავალი რომელი კონკრეტული საბავშვო ბაღისთვის არის გათვალისწინებული, კონკრეტული აქტივობა.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელ კომპონენტებს: თითოეული მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები, რეალისტურად დაგეგმილი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პროცესზე პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულები, ასევე – აქტივობების განსახორციელებელი კალენდარული ვადები.

სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ამოცანები და აქტივობები შეესაბამება დაწესებულების შესაძლებლობებს, გამოხატავს სტრატეგიულ მიზნებთან ლოგიკურ კავშირს და მათი შესრულება დაკისრებულია კომპეტენტურ პირებზე ან ერთეულებზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის" მე-14, მე-15, მე- და მე-16 მუხლები მკაფიოდ აღწერს მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიებს, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5 წელს) და ბოლოს. საბოლოო შეფასება ჩატარდება სტრატეგიის დასრულებამდე არაუგვიანეს 4 თვისა, დაწესებულება განახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად,

ხოლო შეფასებას წლიურად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის" მე-13 მუხლით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გამოქვეყნება, რაც უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო წლის ბოლოს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დანართი N2 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“;
2. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N31 ბრძანება „სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
3. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1;
4. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2;
5. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N3;
6. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N4;
7. დანართი N3 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 მაისის N41 ბრძანება „2025-2030 წლის სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
8. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახე
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა
კურიკულუმის დასახელება
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“.
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
**ქ.წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღი** პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II);
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი;
დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმების დეკლარირების ამსახველი დოკუმენტები:
**1.** ა(ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №30 20.03.2025)** -„კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“;
დაწესებულებამ შემუშავებული წესის მუხლი 2- ის მიხედვით, **კურიკულუმის შერჩევა,** წარმოადგინა შემდეგი:
**2.** ა(ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება **(ბრძანება №33 03.04.2025)** - ა(ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს სისიტემაში შემავალი საბავშვო ბაღების კურიკულუმის შესარჩევი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
**3.** ა(ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება **(ბრძანება №34 03.04.2025)** - ა(ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს სისიტემაში შემავალი საბავშვო ბაღების სასკოლო მზაობის კურიკულუმის შესარჩევი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
**4.** ა(ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით **(ბრძანება №33 03.04.2025) და (ბრძანება №34 03.04.2025)** - შექმნილი სამუშაო ჯგუფის **სხდომის ოქმი№ 5 (04.04.2025), რომელშიც იკითხება შემდეგი: დღის წესრიგი:** „ა(ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო

დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს სისტემაში შემავალი საბავშვო ბაღების კურიკულუმის და სასკოლო მზაობის კურიკულუმის შესარჩევი, გაზიარების საკითხის განხილვა“. **მოისმინეს: „**ჯგუფის წევრების მოსაზრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილი კურიკულუმების თაობაზე. განხილვის დროს აზრი გამოთქვეს: საბავშვო ბაღის გამგეებმა, ცენტრის დირექტორის მოადგილემ, მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა, მეთოდისტმა, საბავშვო ბაღების აღმზრდელ - მასწავლებლებმა და ჯგუფის სხვა წევრებმა. ხაზი გაუსვეს იმას, რომ უკვე არსებული კურიკულუმები, რომლითაც ხელმძღვანელობენ საბავშვო ბაღები, საჭიროებს დეკლარირებას“ „სამუშაო ჯგუფმა მხარი დაუჭირა ა(ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს სისტემაში შემავალი საბავშვო ბაღების კურიკულუმს „თამაში“ და სასკოლო მზაობის კურიკულუმს „თამაში“, მიიღეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ცენტრის დირექტორს“.

**5**. ა(ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება **(ბრძანება №42 02.05.2025)** - ა(ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს სისიტემაში შემავალი საბავშვო ბაღების დეკლარირებული კურიკულუმის დამტკიცების შესახებ.

**6.** ა(ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება **(ბრძანება №43 05.05.2025)** -ა (ა)იპ „ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს სისიტემაში შემავალი საბავშვო ბაღების სასკოლო მზაობის დეკლარირებული კურიკულუმის დამტკიცების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასახავს, რომ კურიკულუმები (**ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“**), რომლითაც ხელმძღვანელობს **ქ.წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღი,** პროცესების სრული თანმიმდევრულობით არის შერჩეული.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამუშაო ჯგუფის **ოქმში №5 (04.04.2025),** რომელიც ეხება ადრეული განათლების კურიკულუმის „თამაში“ და სასკოლო მზაობის კურიკულუმის „თამაში“ შერჩევის პროცესს, დაცული იყოს ოქმის შედგენის მეთოდოლოგია, კერძოდ, სხდომის ოქმში უნდა იკითხებოდეს დაწესებულების დასახელება - სხდომის ჩატარების ადგილი და სხდომის ჩამტარებელი კოლეგიალური ორგანოს დასახელება.

ასევე, მნიშვნელოვანია, სხდომის ოქმის შინაარსში ნათლად ჩანდეს სამუშაო ჯგუფის მიერ რომელი კურიკულუმების (სრული სახელწოდება) და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით ხდება კურიკულუმების შერჩევა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ სხდომის ოქმის შედგენისას იხელმძღვანელოს ოქმის წერის მეთოდოლოგიით და გაითვალისწინოს ყველა აუცილებელი კომპონენტი.

ასევე, სასურველია სხდომის ოქმის შინაარსში ნათლად ჩანდეს სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული კურიკულუმის დასახელება, სრული სახელწოდება - ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და კრიტერიუმების ჩამონათვალი, რომლის გათვალისწინებითაც მოხდა კურიკულუმების შერჩევა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**ქ.წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღი** პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:

1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II);

2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი;

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, რაც ვლინდება კურიკულუმების მეთოდოლოგიაში.

მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის ხარისხის სტანდარტს, რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებს როგორიცაა ოჯახისა და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**ქ.წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღი** პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II);
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი;
დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში: კურიკულუმები წარმოადგენს როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ მითითებებს, ცოდნას, გამოცდილებას, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განმავითარებელი და სასწავლო გარემოს ორგანიზება და უზრუნველყოფა.
კურიკულუმებიი მოიცავს დაგეგმილ და დაუგეგმავ გამოცდილებებს, თამაშებს, რუტინას, ურთიერთობებს.
კურიკულუმები ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განათლების პროცესში, რაც ვლინდება შემდეგში: ბავშვი ცნობისმოყვარე, მედეგი და ლაღია. ის ინტერესით იკვლევს, თავისუფლად სვამს კითხვებს, ეძებს ამ კითხვებზე პასუხებს, უმკლავდება გამოწვევებს, თავდაჯერებულია, არ ნებდება წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაში, თავისუფალი და ბედნიერია.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**ქ.წალენჯიხის №4 საბავშვო ბაღი** პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II);
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი;

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას ბაღის ცხოვრებაში, რაც ვლინდება მშობლებთან რეგულარულ შეხვედრებში, მათი ცნობიერების ამაღლებაში ადრეული განათლების მნიშვნელობასა და სწავლაზე, მათ ჩართულობაში ბაღის ცხოვრებაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ და განსახორციელებელ აქტივობებში თანამონაწილეობაში.
კურიკულუმები აგრეთვე ითვალისწინებს თემის რესურსების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში და მათი გამოცდილების გაზიარებას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

